

# მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები



ივლისი, 2021

## შინაარსი

მოკლე შეჯამება .....	3
მთლიანი შიდა პროდუქტი .....	7
ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია .....	7
ეკონომიკური პროგნოზები .....	8
ფასების დონე .....	9
კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში .....	10
საგარეო ვაჭრობა .....	11
ტურიზმი .....	12
ფულადი გზავნილები .....	13
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი .....	14
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები .....	14
საკრედიტო რეიტინგები .....	15
საბანკო სექტორი .....	16
უმუშევრობის დონე .....	18
სიღარიბის მაჩვენებლები .....	19
საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში .....	20

## მოკლე შეჯამება

2021 წლის აპრილში ეკონომიკის რეკორდულად ზრდის შემდეგ, მაისში ეკონომიკის შთამბეჭდავი 25.8 პროცენტითიან ზრდა დაფიქსირდა. შესაბამისად, 2021 წლის იანვარ-მაისში საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 11.5 პროცენტი შეადგინა.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლის მაისში ეკონომიკის კლება 13.5 პროცენტი იყო, 2021 წლის მაისში დაფიქსირებული ეკონომიკური აქტივობის დონე აჭარბებს როგორც 2020 წლის, ასევე 2019 წლის მონაცემსაც.

შედეგად, მიმდინარე მოსალოდნელზე პოზიტიური ტენდენციების ფონზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გააორმაგა 2021 წლის პროგნოზი 3.5%-დან 7.7%-მდე. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში, 2021-2026 წლებში საშუალოდ საქართველოს ექნება ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა (5.8%) ევროპისა და რეგიონის ქვეყნებს შორის. 2021 წლის ივნისში წლიური ინფლაციის დონემ 9.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით ფასების დონე 0.7 პროცენტით გაიზარდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის 23 ივნისს რეფინანსირების განაკვეთის 9.5 პროცენტის დონეზე უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. ეროვნული ბანკის პროგნოზით, 2021 წელს ინფლაცია საშუალოდ 7.0 პროცენტის ფარგლებში იქნება და შემდეგ მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება.

2021 წლის თებერვალთან საგარეო ვაჭრობის დინამიკის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ფიქსირდება. 2021 წლის ივნისში წინა წელთან შედარებით ექსპორტი 30.1 პროცენტით გაიზარდა და მისმა მოცულობამ 349.3 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. ივნისში დაფიქსირებული ექსპორტის მაჩვენებელმა გადააჭარბა 2019 წლის ივნისში (პანდემიამდე) დაფიქსირებულ მონაცემს (2021 წლის ივნისის ექსპორტი 2019 წლის ივნისის ექსპორტს 38.9 მლნ აშშ დოლარით, 12.5%-ით აღემატება).

2021 წლის იანვარ-ივნისში ექსპორტი გაიზარდა 25.2 პროცენტით და 1,884.7 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა, ხოლო იმპორტი 18.9 პროცენტით აღემატება წინა წლის იანვარ-ივნისის მაჩვენებელს და 4,325.0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. 2021 წლის იანვარ-ივნისში დაფიქსირებული ექსპორტის მაჩვენებელი 5.3%-ით აღემატება 2019 წლის ანალოგიური პერიოდის (პანდემიამდე) მონაცემს.

2021 წლის იანვარ-ივნისში სავაჭრო დეფიციტი 308.1 მლნ. აშშ. დოლარით გაიზარდა და 2,440.3 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა.

2021 წლის იანვარ-ივნისში ექსპორტის ზრდა ძირითადად ადგილობრივი ექსპორტის ზრდით იყო განპირობებული. 2021 წლის იანვარ-ივნისში ადგილობრივი ექსპორტი 27.6 პროცენტით გაიზარდა და 1 377.6 მლნ. აშშ დოლარს, მთლიანი ექსპორტის 73.1 პროცენტს გაუტოლდა.

2020 წელს ექსპორტი 12.0 პროცენტით შემცირდა და 3,343.4 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა, ხოლო იმპორტი 15.4 პროცენტით ნაკლები იყო წინა წლის მაჩვენებელზე და 8,052.9 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა. 2020 წელს სავაჭრო დეფიციტი 1,011.3 მლნ. აშშ. დოლარით გაუმჯობესდა და 4,709.4 მლნ. აშშ. დოლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ექსპორტის შემცირება რე-ექსპორტის კლებით იყო განპირობებული, ადგილობრივი ექსპორტი კი 3.6 პროცენტით გაიზარდა და კორონა ვირუსთან დაკავშირებული

გამოწვევების მიუხედავად 2020 წელს ადგილობრივი ექსპორტის მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს - 2,408 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია.

ყველაზე მნიშვნელოვანი არხი, რომლითაც კორონა ვირუსის გავრცელება უარყოფით გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე არის ტურიზმი. ტურიზმიდან შემოსავლების შემცირებას და გარკვეულ თვეებში ფაქტობრივად შეჩერებას მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდასა და მიმდინარე ანგარიშის შემოდინებებზე. 2021 წლის პირველ კვარტალში ტურიზმიდან შემოსავლებმა 53.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 87.5 პროცენტით ნაკლებია 2020 წლის მონაცემზე.

საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში წარმმართველი როლი კერძო სექტორს უჭირავს, პანდემიასთან დაკავშირებულმა პრევენციულმა ღონისძიებებმა და საერთაშორისო ტურიზმის შემცირებამ, როგორც მოსალოდნელი იყო შესაბამისი ასახვა ჰპოვა 2020 წელს ბიზნეს სექტორის საქმიანობაზე, თუმცა 2021 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკური აქტივობის გაჯანსაღების ფონზე, ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და გამოშვების ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა. ამასთან, კორონა ვირუსის აქტიურ გავრცელებამდე ბრუნვის, გამოშვების და დასაქმების ზრდას ქონდა ადგილი წინა წლის პირველ კვარტალშიც.

2021 წლის პირველ კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11.3%-ით გაიზარდა და 28.9 მლრდ. ლარი შეადგინა. 2021 წლის პირველ კვარტალში ბიზნეს სექტორის გამოშვება 10.3 მლრდ. ლარს გაუტოლდა, რაც 0.2%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. 2021 წლის პირველ კვარტალში, ბიზნეს სექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობა 9.0%-ით (61.6 ათასით) შემცირდა და 622.7 ათასი შეადგინა, რაც 2021 წლის პირველ კვარტალში რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ფონზე, ვირუსის გავრცელების შემზღვეველი ღონისძიებებით აიხსნება. ასევე, აღსანიშნავია რომ წინა წლის პირველ კვარტალში, კორონა ვირუსის აქტიურ გავრცელებამდე, დასაქმების ზრდას ქონდა ადგილი.

2020 წლის ოთხი კვარტლის მონაცემების მიხედვით ბიზნეს სექტორის ბრუნვა გაიზარდა 0.9 პროცენტით, ხოლო ბიზნეს სექტორის გამოშვება 7.2%-ით შემცირდა.

2020 წელს კორონა ვირუსის პანდემიის შედეგად ტურისტული ნაკადების მნიშვნელოვანმა შემცირებამ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა გამოიწვია. 2021 წლის პირველი კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 365.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის ბალანსი წინა წლის პირველი კვარტალთან შედარებით 58.3 მლნ. აშშ. დოლარით გაუმჯობესდა. მშპ-თან მიმართებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 10.7% შეადგინა და წინა წელთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა. მშპ-თან მიმართებით საქონლის სავაჭრო დეფიციტი 1.2 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა და -22.2 პროცენტი შეადგინა. მნიშვნელოვნად გაუარესდა მომსახურების ბალანსი, მშპ-თან მიმართებით მომსახურების ბალანსი 6.0 პროცენტული პუნქტით გაუარესდა და 0.7 პროცენტს გაუტოლდა.

2021 წლის პირველ კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 125.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28.3 პროცენტით (49.6 მლნ აშშ დოლარით) ნაკლებია 2020 წლის პირველ კვარტალის მაჩვენებელთან შედარებით. შემცირების გამომწვევი ძირითადი მიზეზი რეინვესტიციის მოცულობის შემცირება და რამდენიმე საწარმოს საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში გადასვლაა.

კომერციული ბანკების მოგებამ 2021 წლის მაისის თვეში 180.1 მილიონი ლარი შეადგინა და წინა წლის მაისთან შედარებით 126.8 მლნ. ლარით გაიზარდა. 2021 წლის იანვარ-მაისში ბანკების მოგება 1,378.4 მლნ. ლარით გაიზარდა და 765.0 მლნ. ლარი შეადგინა (2020 წლის მარტის თვეში დაფიქსირდა 943.1 მლნ.

ლარის ზარალი). მოცემულ პერიოდში მოგების ზრდა ძირითადად გამოწვეულია შემოსავლების ზრდითა და ხარჯების შემცირებით. 2020 წელს ბანკების მოგებამ 99.3 მლნ. ლარი შეადგინა.

2021 წლის მაისის მდგომარეობით დეპოზიტები (ნაშთები, კურსის ეფექტის გამორიცხვით) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზარდილია 22.1%-ით. ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების ზრდამ 37.3%, ხოლო უცხოურ ვალუტაში 13.6% შეადგინა.

2021 წლის მაისის მდგომარეობით სესხები (ნაშთები, კურსის ეფექტის გამორიცხვით) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 11.3%-ით. ეროვნულ ვალუტაში სესხების ზრდამ 26.1% შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხების 0.7%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

მაისში სესხების ნაკადების ზრდა დაფიქსირდა, რომელმაც კურსის ეფექტის გამორიცხვით 176.5% შეადგინა, ეროვნულ ვალუტაში სესხები 151.8%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში კი 248.9%-ით. 2021 წლის მაისში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7-ჯერ მეტად გაიზარდა შინამეურნეობებზე გაცემული იპოთეკური სესხების ნაკადები, კურსის ეფექტის გამორიცხვით, რაც საბაზო ეფექტით არის განპირობებული. ეროვნულ ვალუტაში სესხები 6-ჯერ მეტად, ხოლო უცხოურ ვალუტაში 10-ჯერ მეტად გაიზარდა.

2021 წლის პირველ კვარტალში უმუშევრობის დონე წინა წელთან შედარებით 3.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 21.9 პროცენტი შეადგინა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წინა წლის პირველ კვარტალში, ვირუსის მასშტაბურ გავრცელებამდე, საქართველოში ძლიერი ეკონომიკური და ტურისტული აქტივობის ფონზე, უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა და 18.3 პროცენტი შეადგინა.

2021 წლის პირველ კვარტალში უმუშევართა რაოდენობა 34.9 ათასით გაიზარდა და 317.5 ათასს გაუტოლდა. დასაქმებულთა რაოდენობა 2021 წლის პირველ კვარტალში 132.9 ათასით შემცირდა და 1,129.7 ათასი შეადგინა. დასაქმების დონე შემცირდა 4.2 პროცენტული პუნქტით 37.7%-მდე.

2020 წელს უმუშევრობის დონე წინა წელთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 18.5 პროცენტი შეადგინა. 2020 წელს უმუშევართა რაოდენობა 5.0 ათასით გაიზარდა და 281.9 ათასს გაუტოლდა, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 54.1 ათასით შემცირდა და 1,241.8 ათასი შეადგინა. დასაქმების დონე 1.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 41.1%-ით განისაზღვრა.

ბიზნესის კეთების სიმარტივის და საინვესტიციო მიმზიდველობის თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიო მასშტაბით. მსოფლიო ბანკის „Doing Business 2020“ წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ 190 ქვეყანას შორის მე-7 ადგილი დაიკავა.

სარეიტინგო კომპანია „S&P“-ს და Fitch-ის მიხედვით საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი BB დონეზე ნარჩუნდება, ნეგატიური პერსპექტივით.

	2017	2018	2019	2020
<b>რეალური სექტორი</b>				
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	40,761.7	44,599.3	49,252.7	49,407.3
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. დოლარი)	16,248.5	17,596.6	17,470.7	15,888.1
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	4.8%	4.8%	5.0%	-6.2%
მშპ ერთ სულზე (ლარი)	10,933.9	11,968.0	13,239.4	13,292.7
მშპ ერთ სულზე (დოლარი)	4,358.5	4,722.0	4,696.2	4,274.6
ინვესტიციები (% მშპ)	27.3%	28.1%	25.3%	26.2%
დანაზოგები (% მშპ)	19.2%	21.3%	19.8%	13.8%
<b>მონეტარული სექტორი</b>				
ინფლაცია (წლიური)	6.7%	1.5%	2.4%	9.9% <sup>1</sup>
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი	7.3%	7.5%	8.0%	9.5% <sup>2</sup>
<b>საგარეო სექტორი</b>				
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი (% მშპ)	46.5%	50.6%	54.8%	37.5%
საქონლისა და მომსახურების იმპორტი (% მშპ)	57.5%	61.2%	63.8%	56.5%
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (% მშპ)	8.0%	6.8%	5.5%	12.5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (% მშპ)	12.2%	7.4%	7.5%	3.9%
<b>ფისკალური სექტორი</b>				
ფისკალური ბალანსი (% მშპ) <sup>3</sup>	-2.7%	-2.3%	-2.1%	-9.3%
სახელმწიფო ვალი <sup>4</sup> (% მშპ)	39.9%	39.9%	41.9%	62.5%

<sup>1</sup> 2021 ივნისის მდგომარეობით

<sup>2</sup> უახლესი მდგომარეობით

<sup>3</sup> სავალუტო ფონდთან შეთანხმებული მეთოდოლოგიის მიხედვით

<sup>4</sup> ისტორიული ვალის გარეშე


## მთლიანი შიდა პროდუქტი

2021 წლის მაისში ეკონომიკა 25.8%-ით გაიზარდა. შესაბამისად, 2021 წლის იანვარ-მაისში საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 11.5 პროცენტი შეადგინა.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლის მაისში ეკონომიკის კლება 13.5 პროცენტი იყო, 2021 წლის მაისში დაფიქსირებული ეკონომიკური აქტივობის დონე აჭარბებს როგორც 2020 წლის, ასევე 2019 წლის მონაცემსაც.

2021 წლის მაისში რეალური ზრდა დაფიქსირდა თითქმის ყველა სექტორში (განათლების სექტორის გარდა). ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიტანეს: დამამუშავებელი მრეწველობის; საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების; საბითუმო და საცალო ვაჭრობის; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების; მშენებლობის; ტრანსპორტის და დასაწყობების; ინფორმაციის და კომუნიკაციის; ხელოვნება, გართობა, დასვენების და ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სექტორებმა.

## ეკონომიკური ზრდა




## ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია

2021 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკურ კლებაში ყველაზე მაღალი უარყოფითი წვლილი რეალურმა ინვესტიციებმა შეიტანა (-3.3 პ.პ.). პირველ კვარტალში ასევე უარყოფითი იყო წმინდა ექსპორტის წვლილი (-1.9 პ.პ.), ხოლო მოხმარების დადებითი წვლილი დაფიქსირდა (0.7 პ.პ.).

2020 წელს უარყოფით ეკონომიკურ ზრდაში პოზიტიური წვლილი შეიტანა მოხმარებამ და 4.5 პ.პ შეადგინა. ყველაზე მაღალი უარყოფითი წვლილი საქონლისა და მომსახურების წმინდა ექსპორტმა შეიტანა (-9.8 პ.პ.). ასევე უარყოფითი იყო ინვესტიციების წვლილი (-0.9 პ.პ.).

## ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია



## ეკონომიკური პროგნოზები

კოვიდ პანდემია, რომელმაც გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი, უპრეცედენტო იყო სიჩქარისა და მსოფლიოს სინქრონულად მოცვის კუთხით.


სავალუტო ფონდის პროგნოზით, მსოფლიო ეკონომიკის 3.3 პროცენტის კლების შემდეგ, 2021 წელს მოსალოდნელია მსოფლიო ეკონომიკის 6 პროცენტით, ხოლო 2022 წელს 4.4 პროცენტით ზრდა.

2020 წლის კრიზისიდან გამოსვლა, 2008 წლის კრიზისისგან განსხვავებით, უფრო ჩქარა მოხდება, მაგრამ განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც პანდემიის შედეგად უფრო მეტად დაზარალდნენ, საშუალოვადიან პერიოდში მნიშვნელოვნად მეტი დანაკარგები ექნებათ.

პანდემიამ განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ქვეყნებს, რომელთაც ეკონომიკაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ტურიზმი.

კორონა ვირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა გავლენამ შეაფერხა იმ პოზიტიური ტენდენციების გაგრძელება, რომელიც 2019 წელს დაფიქსირდა საქართველოში ეკონომიკის თითქმის ყველა მიმართულებით. თუმცა, მიმდინარე მოსალოდნელო პოზიტიური ტენდენციების ფონზე (2021 წლის იანვარ-მაისში 11.5%-იანი ზრდა), სავალუტო ფონდმა გააორმაგა 2021 წლის პროგნოზი 3.5%-დან 7.7%-მდე. 2021-2026 წლებში საშუალოდ საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5.8%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ სავალუტო ფონდის პროგნოზით, საქართველოს რეგიონში და ევროპის ქვეყნებს შორის 2021-2026 წლებში ექნება ყველაზე მაღალი ზრდა.

ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2021-2026 (%) - სავალუტო ფონდი





## ფასების დონე


2021 წლის ივნისში წლიური ინფლაციის დონემ 9.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით ფასების დონე 0.7 პროცენტით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით წლიური ინფლაციის დონე 2.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ინფლაციის მაჩვენებელზე გავლენა მოახდინა გლობალურად სასაქონლო ბაზრებზე, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე ფასების მნიშვნელოვანმა ზრდამ (წინა თვეში 2011 წლის სექტემბრის შემდეგ სასურსათო ფასების ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა, წინა წლის მაისთან შედარებით 40%-იანი ზრდა, FAO) და წინა პერიოდებში ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ.

აღსანიშნავია, რომ რეგიონის ქვეყნებში თებერვალიდან უკვე შეინიშნებოდა ფასების დონის ზრდა, მაისში რუსეთში ინფლაცია 6.0% იყო, თურქეთში 16.6%, უკრაინაში 9.5%, სომხეთში 5.9% და აზერბაიჯანში 4.2%. ივნისში საბაზო ინფლაცია,<sup>5</sup> 5.9 პროცენტს შეადგენდა, ხოლო საბაზო ინფლაცია თამბაქოს გამორიცხვით 5.8 პროცენტით განისაზღვრა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის 23 ივნისს რეფინანსირების განაკვეთის 9.5 პროცენტის დონეზე უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. ეროვნული ბანკის პროგნოზით, 2021 წელს ინფლაცია საშუალოდ 7 პროცენტი იქნება. გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის ხანგრძლივად შენარჩუნებითა და მონეტარული პოლიტიკისგან დამოუკიდებელი ერთჯერადი ეგზოგენური ფაქტორების მიღევის ფონზე, არსებული პროგნოზით, 2022 წელს ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება.

წინასწარი ინდიკატორები მოთხოვნის მნიშვნელოვან გააქტიურებაზე მიუთითებს, რაც მანამდე არსებულ პროგნოზებზე მაღალია. ამასთან, გაზრდილია ეკონომიკის დაკრედიტების ზრდის ტემპი და ფისკალური სტიმულიც ნარჩუნდება. ჯამურად, შიდა მოთხოვნის გაუმჯობესებაზე მიუთითებს იმპორტის ზრდაც. აღნიშნულის პარალელურად იზრდება საგარეო შემოდინებები, რაც სავალუტო ბაზრის პოზიტიურ დინამიკას უწყობს ხელს და შესაბამისად, ინფლაციაზე კლების მიმართულებით ახდენს გავლენას.

ინფლაციის დონე -%



<sup>5</sup>საბაზო ინფლაციის გაანგარიშება ხდება სამომხმარებლო კალათიდან შემდეგი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების გამორიცხვით: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; ენერგომატარებლები; ადმინისტრირებადი ტარიფები; ტრანსპორტი (ცალკეული ტარიფები).

## კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში წარმმართველი როლი კერძო სექტორს უჭირავს, პანდემიასთან დაკავშირებულმა პრევენციულმა ღონისძიებებმა და საერთაშორისო ტურიზმის შემცირებამ, როგორც მოსალოდნელი იყო შესაბამისი ასახვა ჰპოვა 2020 წელს ბიზნეს სექტორის საქმიანობაზე, თუმცა 2021 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკური აქტივობის გაჯანსაღების ფონზე, ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და გამოშვების ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა. ამასთან, კორონა ვირუსის აქტიურ გავრცელებამდე ბრუნვის, გამოშვების და დასაქმების ზრდას ქონდა ადგილი წინა წლის პირველ კვარტალშიც.

2021 წლის პირველ კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11.3%-ით გაიზარდა და 28.9 მლრდ. ლარი შეადგინა. 2021 წლის პირველ კვარტალში ბიზნეს სექტორის გამოშვება 10.3 მლრდ. ლარს გაუტოლდა, რაც 0.2%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. 2021 წლის პირველ კვარტალში, ბიზნეს სექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობა 9.0%-ით (61.6 ათასით) შემცირდა და 622.7 ათასი შეადგინა, რაც რაც 2021 წლის პირველ კვარტალში რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ფონზე, ვირუსის გავრცელების შემზღვეველი ღონისძიებებით აიხსნება. ასევე, აღსანიშნავია რომ წინა წლის პირველ კვარტალში, კორონა ვირუსის აქტიურ გავრცელებამდე, დასაქმების ზრდას ქონდა ადგილი.


2020 წლის ოთხი კვარტლის მონაცემების მიხედვით ბიზნეს სექტორის ბრუნვა გაიზარდა 0.9 პროცენტით, ხოლო ბიზნეს სექტორის გამოშვება 7.2%-ით შემცირდა.

2019 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 25.9%-ით, ხოლო გამოშვება 14.0%-ით გაიზარდა. მსხვილი საწარმოების გამოშვება გაიზარდა 17.4 პროცენტით, საშუალო ზომის საწარმოების 13.1 პროცენტით, ხოლო მცირე საწარმოების 10.7 პროცენტით. ბრუნვის და გამოშვების ზრდა დაფიქსირდა ეკონომიკის ყველა სექტორში.

### ბიზნეს სექტორი - ცვლილება, 2021 პირველი კვარტალი



## დასაქმება ბიზნეს სექტორში



## საგარეო ვაჭრობა

2021 წლის თებერვლიდან საგარეო ვაჭრობის დინამიკის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ფიქსირდება. 2021 წლის ივნისში წინა წელთან შედარებით ექსპორტი 30.1 პროცენტით გაიზარდა და მისმა მოცულობამ 349.3 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. ივნისში დაფიქსირებული ექსპორტის მაჩვენებელმა გადააჭარბა 2019 წლის ივნისში (პანდემიამდე) დაფიქსირებულ მონაცემს (2021 წლის ივნისის ექსპორტი 2019 წლის ივნისის ექსპორტს 38.9 მლნ აშშ დოლარით, 12.5%-ით აღემატება). ექსპორტის მსგავსი დინამიკა ნათლად მიანიშნებს ეკონომიკის გაჯანსაღებასა და მიმდინარე ტენდენციების გაუმჯობესებაზე.

2021 წლის ივნისში ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე), წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 33.7 პროცენტით გაიზარდა და 256.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ადგილობრივი ექსპორტის მოცულობა 40.4%-ით აღემატება პანდემიამდე პერიოდის - 2019 წლის ივნისის მონაცემს (წინა წლის ივნისშიც ადგილობრივი ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა).

ივნისში იმპორტი 37.5 პროცენტით გაიზარდა და 837.2 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა. შესაბამისად, სავაჭრო დეფიციტი 147.5 მლნ. აშშ. დოლარით გაიზარდა და 488.0 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა.


2021 წლის იანვარ-ივნისში ექსპორტი გაიზარდა 25.2 პროცენტით და 1,884.7 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა, ხოლო იმპორტი 18.9 პროცენტით აღემატება წინა წლის იანვარ-ივნისის მაჩვენებელს და 4,325.0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. 2021 წლის იანვარ-ივნისში დაფიქსირებული ექსპორტის მაჩვენებელი 5.3%-ით აღემატება 2019 წლის ანალოგიური პერიოდის (პანდემიამდე) მონაცემს.

2021 წლის იანვარ-ივნისში სავაჭრო დეფიციტი 308.1 მლნ. აშშ. დოლარით გაიზარდა და 2,440.3 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა.

2021 წლის იანვარ-ივნისში ექსპორტის ზრდა ძირითადად ადგილობრივი ექსპორტის ზრდით იყო განპირობებული. 2021 წლის იანვარ-ივნისში ადგილობრივი ექსპორტი 27.6 პროცენტით გაიზარდა და 1 377.6 მლნ. აშშ დოლარს, მთლიანი ექსპორტის 73.1 პროცენტს გაუტოლდა.

2020 წელს ექსპორტი 12.0 პროცენტით შემცირდა და 3,343.4 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა, ხოლო იმპორტი 15.4 პროცენტით ნაკლები იყო წინა წლის მაჩვენებელზე და 8,052.9 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა. 2020 წელს სავაჭრო დეფიციტი 1,011.3 მლნ. აშშ. დოლარით გაუმჯობესდა და 4,709.4 მლნ. აშშ. დოლარით განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ექსპორტის შემცირება რე-ექსპორტის კლებით იყო განპირობებული, ადგილობრივი ექსპორტი კი 3.6 პროცენტით გაიზარდა და კორონა ვირუსთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად 2020 წელს ადგილობრივი ექსპორტის მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს - 2,408 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია.

### საგარეო ვაჭრობა (მლნ. დოლარი)




### ტურიზმი

2020 წელს ტურიზმიდან შემოსავლების მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა, რაც კორონა ვირუსთან დაკავშირებულ პრევენციულ ღონისძიებებს და მარტის შემდგომ წლის ბოლომდე საერთაშორისო ტურიზმის ფაქტობრივად შეჩერებას უკავშირდება.

2021 წლის პირველ კვარტალში ტურიზმიდან შემოსავლებმა 53.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 87.5 პროცენტით ნაკლებია 2020 წლის მონაცემზე.

2020 წელს ტურიზმიდან შემოსავლები 83.4%-ით შემცირდა და 541.7 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. ბოლო წლების განმავლობაში, პანდემიამდე, ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. 2019 წელს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 7.3 პროცენტით გაიზარდა და 7 725.8 ათასი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ტურისტული ვიზიტების რაოდენობა გაიზარდა 6.8 პროცენტით და 5 080.5 ათასი შეადგინა. 2019 წელს მოგზაურობიდან შემოსავლებმა 3,268.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1.4 პროცენტით (46.6 მლნ. აშშ. დოლარით) აღემატებოდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

### შემოსავლები მოგზაურობიდან (მილიონი დოლარი)



## ფულადი გზავნილები

2021 წლის ივნისში გაგრძელდა პოზიტიური ტენდენციები ფულადი გზავნილების მიმართულებით. ივნისში ფულადი გზავნილები 19.3 პროცენტით გაიზარდა და 201.9 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. 2021 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით, ფულადი გზავნილების მოცულობა 40.8 პროცენტით გაიზარდა და 1,083.0 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა.

2021 წლის ივნისში ევროკავშირის<sup>6</sup> ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების მოცულობა 40.0 პროცენტით გაიზარდა და 80.8 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.


2021 წლის ივნისის თვეში ევროკავშირის ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება იტალიიდან (18.3 პროცენტით), გერმანიიდან (47.5 პროცენტით) და საფრანგეთიდან (28.3 პროცენტით). ევროკავშირის ქვეყნების გარდა ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა რუსეთიდან (20.0 პროცენტით), აშშ-დან (24.6 პროცენტით), ყაზახეთიდან (193.5 პროცენტით), აზერბაიჯანიდან (49.9 პროცენტით) და ისრაელიდან (12.8 პროცენტით).

2021 წლის ივნისის თვეში ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი შემცირება დაფიქსირდა თურქეთიდან (16.4 პროცენტით), ერაყიდან (19.9 პროცენტით) და სომხეთიდან (10.8 პროცენტით).

2021 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით ევროკავშირის ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების მოცულობა 39.5 პროცენტით გაიზარდა და 450.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2021 წლის იანვარ-მაისში ევროკავშირის ქვეყნებიდან ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად გაიზარდა იტალიიდან (42.2 პროცენტით), საბერძნეთიდან (26.1 პროცენტით) და გერმანიიდან (68.4 პროცენტით). ევროკავშირის ქვეყნების გარდა ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა აშშ-დან (53.7 პროცენტით), რუსეთიდან (26.8 პროცენტით), აზერბაიჯანიდან (151.7 პროცენტით) და უკრაინიდან (100.6 პროცენტით).

2020 წელს ფულადი გზავნილების მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, წინა წელთან შედარებით 8.8 პროცენტით გაიზარდა და 1,886.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

## ფულადი გზავნილები



<sup>6</sup> ევროკავშირის 27 ქვეყანა.

## მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2021 წლის პირველი კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 365.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის ბალანსი წინა წლის პირველი კვარტალთან შედარებით 58.3 მლნ. აშშ. დოლარით გაუმჯობესდა. მშპ-თან მიმართებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 10.7% შეადგინა და წინა წელთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა. საქონლით ვაჭრობის უარყოფითი სალდო 2021 წლის პირველი კვარტალში 127.8 მლნ. აშშ. დოლარით (14.5 პროცენტით) შემცირდა და 755.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქონლის ექსპორტი წინა წლის პირველი კვარტალთან შედარებით 4.8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 4.1 პროცენტით შემცირდა. მშპ-სთან მიმართებით სავაჭრო ბალანსი 1.2 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა და -22.2 პროცენტი შეადგინა.


მნიშვნელოვნად გაუარესდა მომსახურების ბალანსი, რომელიც 2021 წლის პირველი კვარტალში 227.5 მლნ. აშშ. დოლარით (90.6%-ით) შემცირდა, რაც ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების შემცირებას უკავშირდება. ტურიზმიდან შემოსავლები შემცირებულია 374.1 მლნ. აშშ დოლარით (87.5%-ით). მშპ-სთან მიმართებით მომსახურების ბალანსი 6.0 პროცენტული პუნქტით გაუარესდა და 0.7 პროცენტი შეადგინა.

2021 წლის პირველი კვარტალში მიმდინარე ანგარიშის პირველადი ბალანსი (მიმდინარე ანგარიშის ბალანსი საინვესტიციო შემოსავლების გამორიცხვით) უარყოფითი იყო და მშპ-ს 3.6% (121.4 მლნ. აშშ. დოლარი) შეადგინა.

2021 წლის პირველი კვარტალში წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბალანსმა მშპ-ს 1.2% შეადგინა, ხოლო ვალით დაფინანსებულმა დეფიციტი მშპ-ს -9.5% იყო.

2020 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 1,027.2 მლნ. აშშ. დოლარით (107.3%-ით) გაუარესდა და 1,984.4 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. 2020 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 12.5% შეადგინა და წინა წელთან შედარებით 7.0 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი



## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

გლობალური პანდემიის და ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, როგორც მოსალოდნელი იყო 2021 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება დაფიქსირდა.

2021 წლის პირველ კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 125.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28.3 პროცენტით (49.6 მლნ აშშ დოლარით) ნაკლებია 2020 წლის პირველ კვარტალის მაჩვენებელთან შედარებით. შემცირების გამოწვევი ძირითადი მიზეზი რეინვესტიციის მოცულობის შემცირება და რამდენიმე საწარმოს საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში გადასვლაა. გარდა გლობალური ფაქტორებისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება

განპირობებულია გაურკვევლობის მაღალი დონისა და 2020 წლის ბოლოს გაუარესებული ეპიდ-ვიტარების ფონზე, დაწესებული შეზღუდვებით (ეკონომიკურ საქმიანობებზე შეზღუდვების მოხსნა თებერვლიდან დაიწყო).


2021 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობის, ენერჯეტიკის და ჯანდაცვის სექტორებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ენერჯეტიკის სექტორში 55.8 მლნ. აშშ. დოლარით გაიზარდა (2020 წლის პირველ კვარტალში ინვესტიციების უარყოფითი მონაცემი ფიქსირდებოდა) და 35.5 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში ინვესტიციების მოცულობა 6-ჯერ მეტად (513%-ით) 23.3 მლნ. აშშ. დოლარით გაიზარდა და 27.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სექტორში ინვესტიციების მოცულობა 2 ჯერ მეტად გაიზარდა (119%-ით) 6.5 მლნ აშშ დოლარით და 12.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ინვესტიციების მცირედი ზრდა დაფიქსირდა ასევე სოფლის მეურნეობის სექტორში (1.6 მლნ. აშშ. დოლარით).

2021 წლის პირველ კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია 93.9 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 74.9 პროცენტი) საფინანსო სექტორში დაფიქსირდა. ენერჯეტიკის სექტორში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 35.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 28.3 პროცენტია. მესამე ადგილზეა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 27.9 მლნ. აშშ. დოლარით (მთლიანი ინვესტიციების 22.2 პროცენტი). მას მოსდევს უძრავი ქონების (24.4 მლნ. აშშ. დოლარით, მთლიანი ინვესტიციების 19.4 პროცენტი) და ჯანდაცვა და სოციალური დახმარების (12.0 მლნ. აშშ. დოლარით, მთლიანი ინვესტიციების 9.6 პროცენტი) სექტორები.

ქვეყნების მიხედვით 2021 წლის პირველ კვარტალში ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია გაერთიანებული სამეფოდან (70.5 პროცენტი - 88.4 მლნ. აშშ. დოლარი) განხორციელდა, შემდეგ მოდის რუსეთი (25.4 პროცენტი - 31.9 მლნ. აშშ. დოლარი), თურქეთი (19.5 პროცენტი - 24.5 მლნ აშშ დოლარი) და ჩეხეთი (11.3 პროცენტი - 14.1 მლნ აშშ დოლარი).

2020 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა საქართველოში 52.9%-ით შემცირდა და 616.9 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



### საკრედიტო რეიტინგები

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard & Poor’s“, „Fitch“ და „Moody’s“.

სარეიტინგო კომპანია „S&P“-ის 2021 წლის მარტის ანგარიშის მიხედვით, სარეიტინგო კომპანიამ

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უცვლელი დატოვა, ხოლო სტაბილური პერსპექტივა ნეგატიურით შეცვალა. პერსპექტივის გაუარესება ძირითადად ტურიზმის გლობალურად აღდგენის ნელი ტემპითაა გამოწვეული. როგორც სარეიტინგო კომპანიის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშშია აღნიშნული, „BB“ რეიტინგის მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს გააჩნია გამორჩეული ინსტიტუციონალური გარემო. ამასთან, პოზიტიურად არის შეფასებული ის ფაქტი, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ქვეყანამ დროულად მიიღო დაფინანსება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან.

2021 წლის თებერვალში სარეიტინგო კომპანია „Fitch“-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB“ და ასევე ნეგატიური პერსპექტივა უცვლელი დატოვა.


სარეიტინგო კომპანიების შეფასებით, საქართველოს სუვერენული რეიტინგი მხარდაჭერილია 'BB' კატეგორიის ქვეყნების მედიანურ მაჩვენებელთან შედარებით მაღალი მართველობის ხარისხით. სახელმწიფოში გატარებული თანმიმდევრული და სანდო პოლიტიკა ქვეყანის შედარებით მდგრადობას უზრუნველყოფს.

## საბანკო სექტორი

კომერციული ბანკების მოგებამ 2021 წლის მაისის თვეში 180.1 მილიონი ლარი შეადგინა და წინა წლის მაისთან შედარებით 126.8 მლნ. ლარით გაიზარდა. 2021 წლის იანვარ-მაისში ბანკების მოგება 1,378.4 მლნ. ლარით გაიზარდა და 765.0 მლნ. ლარი შეადგინა (2020 წლის მარტის თვეში დაფიქსირდა 943.1 მლნ. ლარის ზარალი). მოცემულ პერიოდში მოგების ზრდა ძირითადად გამოწვეულია შემოსავლების ზრდითა და ხარჯების შემცირებით. 2020 წელს ბანკების მოგებამ 99.3 მლნ. ლარი შეადგინა.

2021 წლის მაისის მდგომარეობით დეპოზიტები (ნაშთები, კურსის ეფექტის გამორიცხვით) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზარდილია 22.1%-ით. ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების ზრდამ 37.3%, ხოლო უცხოურ ვალუტაში 13.6% შეადგინა.


დეპოზიტების (ნაშთები) ცვლილება კურსის ეფექტის გამორიცხვით



2021 წლის მაისის მდგომარეობით სესხები (ნაშთები, კურსის ეფექტის გამორიცხვით) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 11.3%-ით. ეროვნულ ვალუტაში სესხების ზრდამ 26.1% შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხების 0.7%-იანი ზრდა დაფიქსირდა.




### სესხების (ნაშთები) ცვლილება კურსის ეფექტის გამორიცხვით




მაისში სესხების ნაკადების მნიშვნელოვნად მაღალი ზრდა დაფიქსირდა, რაც დიდწილად საბაზო ეფექტით არის განპირობებული. სესხების ნაკადების ზრდამ კურსის ეფექტის გამორიცხვით 176.5% შეადგინა, ეროვნულ ვალუტაში სესხები 151.8%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში კი 248.9%-ით.

### სესხების ნაკადები (ცვლილება კურსის ეფექტის გამორიცხვით)



2021 წლის მაისში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7-ჯერ მეტად გაიზარდა შინამეურნეობებზე გაცემული იპოთეკური სესხების ნაკადები, კურსის ეფექტის გამორიცხვით, რაც საბაზო ეფექტით არის განპირობებული. ეროვნულ ვალუტაში სესხები 6-ჯერ მეტად, ხოლო უცხოურ ვალუტაში 10-ჯერ მეტად გაიზარდა.

## იპოთეკური სესხების ნაკადები (ცვლილება კურსის ეფექტის გამორიცხვით - შინამეურნეობები)



### უმუშევრობის დონე

2020 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა განახორციელა სამუშაო ძალის სტატისტიკის მეთოდოლოგიაში ფუნდამენტური ცვლილებები<sup>7</sup>. ახალი სტანდარტის დანერგვამ დღის წესრიგში დააყენა ისტორიული მწკრივების გადაანგარიშების საკითხი, რაც აუცილებელი იყო წინა პერიოდის მონაცემებთან შესადარისობის უზრუნველსაყოფად. ახალი სტანდარტის დანერგვით გამოწვეული მონაცემთა გადაანგარიშების შედეგად, ადრე გამოქვეყნებულ მონაცემებთან შედარებით გაიზარდა უმუშევრობის დონე და შემცირდა დასაქმების დონის მაჩვენებელი.


2021 წლის პირველ კვარტალში უმუშევრობის დონე წინა წელთან შედარებით 3.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 21.9 პროცენტი შეადგინა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წინა წლის პირველ კვარტალში, ვირუსის მასშტაბურ გავრცელებამდე, საქართველოში ძლიერი ეკონომიკური და ტურისტული აქტივობის ფონზე, უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა და 18.3 პროცენტი შეადგინა.

2021 წლის პირველ კვარტალში უმუშევართა რაოდენობა 34.9 ათასით გაიზარდა და 317.5 ათასს გაუტოლდა. დასაქმებულთა რაოდენობა 2021 წლის პირველ კვარტალში 132.9 ათასით შემცირდა და 1,129.7 ათასი შეადგინა. დასაქმების დონე შემცირდა 4.2 პროცენტული პუნქტით 37.7%-მდე.

2021 წლის პირველ კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება ძირითადად დაქირავებით დასაქმებულთა კლებას უკავშირდება. დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 108.3 ათასით და 782.8 ათასი შეადგინა. თვითდასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 25.2 ათასით და 345.7 ათასს გაუტოლდა.

<sup>7</sup> დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი სტანდარტით გაანგარიშებული დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები

## უმუშევრობის დონე




## სიღარიბის მაჩვენებლები

2020 წელს საქართველოში აბსოლუტური სიღარიბის დონე, რომელიც გულისხმობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრით წილს, 1.8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 21.3 პროცენტი შეადგინა.

პანდემიიდან და ეკონომიკური კრიზისის მასშტაბიდან გამომდინარე სიღარიბის ზრდა მოხდა, როგორც ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ასევე გენდერულ ჭრილშიც. აბსოლუტური სიღარიბე ქალაქად შემცირდა 1.6 პროცენტული პუნქტით და 16.4% შეადგინა, ხოლო სოფლად გაიზარდა 0.6 პროცენტული პუნქტით და 23.7%-ს გაუტოლდა. აბსოლუტური სიღარიბე ქალებში გაიზარდა 1.5, ხოლო კაცებში 2.1 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 20.9 და 21.7 პროცენტი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ პანდემიამდე პერიოდში ეკონომიკური ზრდა იყო მეტად ინკლუზიური, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულმა სტრუქტურულმა რეფორმებმა, მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისკენ მიმართულმა სახელმწიფო პროგრამებმა და სოციალური დაცვის სისტემის გაფართოებამ ასევე ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და საბაზისო სერვისებზე თანაბარმა ხელმისაწვდომობამ.

## სიღარიბის დონე



## საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

ბიზნესის კეთების სიმარტივის და საინვესტიციო მიმზიდველობის თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიო მასშტაბით. მსოფლიო ბანკის „Doing Business“ 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ 190 ქვეყანას შორის მე-7 ადგილი დაიკავა. საქართველო პირველ ადგილს იკავებს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში.

ქვეყანაში მაღალია ეკონომიკური გახსნილობის დონე და უზრუნველყოფილია კაპიტალის, საქონლისა თუ მომსახურების თავისუფალი მოძრაობა. Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით საქართველო მე-12 ადგილზეა მსოფლიოში და ხვდება უმეტესად თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის.

Fraser institute-ის 2020 წლის ანგარიშის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“, მიხედვით საქართველომ მე-8 ადგილი დაიკავა 162 ქვეყანას შორის.

მსოფლიო ბანკის და PWC ანგარიშის თანახმად, ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია საგადასახადო ტვირთი. გადასახადის ეფექტური განაკვეთი 9.9%-ს შეადგენს, რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მსოფლიოში და აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო მესამე ადგილს იკავებს მსოფლიოში. დაბალი საგადასახადო ტვირთი სხვა ფაქტორებთან ერთად კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ბიზნესის კეთებას საქართველოში და ზრდის ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას.



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მისამართი: 0108 ქ, თბილისი, სანაპიროს ქ. №2

ტელეფონი: +(995 32) 2 99 11 14

ელ.ფოსტა: [vtsintsadze@moesd.gov.ge](mailto:vtsintsadze@moesd.gov.ge);

ელ.ფოსტა: [kchapidze@moesd.gov.ge](mailto:kchapidze@moesd.gov.ge);

ელ.ფოსტა: [sburchuladze@moesd.gov.ge](mailto:sburchuladze@moesd.gov.ge)